



საქართველოს მთავრობის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N 1102 2020 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი
რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჩატარებისა და სსიპ -
საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნების
ვალდებულებებისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 24
ივნისის №გ-20-03/2048 წერილით წარმოდგენილი დასაბუთებული
წინადადებების საფუძველზე:

ა) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის 17¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გათავისუფლდეს
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და საქართველოს
კომუნიკაციების ეროვნული კომისია „ელექტრონული კომუნიკაციების
შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების
ჩატარების ვალდებულებებისაგან.

ბ) საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის №77 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის“ 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტში აღნიშული კანონპროექტი სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნების გარეშე წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი გაბარია